

1. პროგრამის დასახელება:
ბიზნესის ადმინისტრირება
Business Administration

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
Bachelor of Business Administration

3. პროგრამის ანალოგი. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადება წარმოებს: მიჩიგანის - <http://www.bus.umich.edu/Admissions/BBA/2006BBAthreeyear.pdf>, პენსილვანიის - <http://www.wharton.upenn.edu/undergrad/subPage.cfm?pageID=14>, მასაჩუსეტის - <http://www.businessweek.com/bschools/undergraduate/> და სხვა უნივერსიტეტებში.

მოცემული პროგრამა ეყრდნობა დასავლურ სტანდარტებს. მასში გათვალისწინებულია ბოლონიის, სალამანკის, პრადის, როსკალდის, ტუნინგის კონვენციები და რეკომენდაციები, აგრეთვე ეროვნული თავისებურებები.

შესაბამისად, ეკონომიკის სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკულმა რეალიზაციამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო (მათ შორის ევროპულ) საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და საერთაშორისო აკრედიტაციის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სპეციალური მრჩეველი სწავლების ინოვაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში, ბრემენის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი იოხენ ციმერმანი.

4. საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

• **მიზანი და ამოცანები**

პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან ადმინისტრირებას და რომელსაც საფუძვლიანად აქვს შესწავლილი მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, აქვს პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

პროგრამის ამოცანებში შედის სტუდენტისათვის სწავლების ისეთი პროცესის ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროგრამის თავისუფალი შერჩევის უფლებას;
- ძირითადი სპეციალობის საბაზისო კურსების დაუფლებას;
- პროგრამით გათვალისწინებული საფაკულტეტო და არჩევითი კურსების შესწავლას;
- არანაკლებ ერთი უცხო ენის შესწავლას უცხოელებთან თავისუფალი კომუნიკაციის დონეზე;
- წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეძენას;
- დამატებით (minor) სპეციალობის დაუფლებას;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას;
- სასწავლო-პროფესიული პრაქტიკის გავლას და პროფესიული გამოცდილების მიღებას.

პროგრამა იძლევა ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

- **აქტუალურობა.**

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალურობა განპირობებულია საქართველოს საბაზრო ურთიერთობების დამყარებით, რომელმაც ათასობით ადამიანი დაასაქმა მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროებში. შესაბამისად, აქტუალური გახდა ბიზნესის სფეროსათვის კვალიფიციური მენეჯერების მომზადება.

- **პრაქტიკა.**

სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან სახელმწიფო და კერძო საკუთრების ეროვნულ და საერთაშორისო ფირმებში.

- **სწავლის შედეგი.**

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ენიჭებათ სტუდენტებს, რომლებსაც:

- გააჩნიათ საბაზისო ცოდნა ფუნდამენტურ და სპეციალურ დისციპლინებში;
- ფლობენ მართვის მეცნიერების თანამედროვე პრინციპებსა და მეთოდებს, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ ცოდნას;
- განვითარებული აქვთ კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის, პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
- გააჩნიათ ბიზნეს-გარემოს ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნების გაკეთების უნარი;
- გააჩნიათ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები;
- ფლობენ პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმებს.

- **დასაქმების სფეროები.**

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეუძლია ჩაერთოს ბიზნეს-საქმიანობის პროცესში და დაიკავოს ქვედა და საშუალო რგოლების მენეჯერის თანამდებობა ნებისმიერი სფეროს საერთაშორისო და ეროვნული ფირმებში, მათ შორის ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებში და ა.შ.

- **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ბაკალავრიატის კურსდამთავრებული მომზადებულია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ნებისმიერ სპეციალობაზე, აგრეთვე მომიჯნავე სპეციალობებზე მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად.

5. საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი. კონკურსანტი აბარებს მისაღებ გამოცდებს ეროვნულ საგამოცდო ცენტრში საკონსურსო საგამოცდო პროგრამის მოცულობით.

6. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი) _ 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 15 კვირას. ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით 40%-ს, ხოლო 60% – დამოუკიდებელი მუშაობის წილად მოდის.

ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობა საჭიროებს ეკონომიკის ფუნდამენტური კურსების ცოდნას, ამიტომ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, ძირითადი სპეციალობის (major) გარდა, ვალდებულია დაეუფლოს

დამატებით (minor) სპეციალობას - ეკონომიკას.

240 კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება:

- 120 კრედიტი ნაწილდება ძირითად (major) სპეციალობაზე (მათ შორის 5 კრედიტი გათვალისწინებულია პრაქტიკისა და 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისათვის);
- 60 კრედიტი – დამატებით (minor) სპეციალობაზე;
- 50 კრედიტი – საფაკულტეტო კურიკულუმზე;
- 10 კრედიტი – საუნივერსიტეტო კურსებზე.

კრედიტების ყოველწლიური რაოდენობა არის 60 .

კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა 5 კატეგორიას მოიცავს:

- სავალდებულო საფაკულტეტო კურსები;
- საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები;
- სპეციალობის სავალდებულო კურსები;
- სპეციალობის არჩევითი მოდულების კურსები;
- მეორე (minor) სპეციალობის კურსები.

სპეციალობის არჩევითი მოდულების კურსები გათვალისწინებულია V-VIII სემესტრებში. V სემესტრში სტუდენტი შემოთავაზებული 7 არჩევითი მოდულიდან ირჩევს ერთ-ერთს და 4 სემესტრის განმავლობაში სწავლობს არჩეული მოდულის საგნებს.

პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

N	დისციპლინის დასახელება	კრედიტები	კრედიტების განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით										
			I კურსი		II კურსი		III კურსი		IV კურსი				
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII			
<i>საფაკულტეტო დისციპლინები</i>		<i>50</i>	<i>25</i>	<i>25</i>									
1	ეკონომიკის პრინციპები	10	5	5									
2	უცხო ენა	10	5	5									
3	კალკულუსი	10	5	5									
4	შესავალი ინფორმატიკაში	5	5										
5	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	5		5									
6	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის	5		5									
7	ბუღალტერიის საფუძვლები	5	5										
<i>საუნივერსიტეტო არჩევითი საგნები</i>		<i>10</i>	<i>5</i>	<i>5</i>									
1	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი ფაკულტეტის ნებისმიერი საგანი	5	5										
2	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი ფაკულტეტის ნებისმიერი საგანი	5		5									
<i>ძირითადი სპეციალობის სავალდებულო საგნები (Major)</i>		<i>85</i>			<i>20</i>	<i>20</i>	<i>15</i>	<i>10</i>	<i>10</i>	<i>10</i>			
1	ბიზნესის საფუძვლები	10			5	5							
2	მენეჯმენტის საფუძვლები	5			5								
3	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5			5								
5	სტრატეგიული მენეჯმენტი	5							5				
6	მარკეტინგი	10					5	5					
7	ფინანსური აღრიცხვა	5					5	5					
8	მმართველობითი აღრიცხვა	5					5						

9	ფული, ინვესტიციები და საბანკო საქმე	5				5						
10	კორპორაციის ფინანსები	10							5	5		
11	ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში	5						5				
12	პრაქტიკა	5								5		
13	საბაკალავრო ნაშრომი	10										10
<i>ძირითადი სპეციალობის არჩევითი მოდულები (შემოთავაზებული 7 მოდულიდან სტუდენტი ირჩევს ერთს)</i>		<i>35</i>							<i>5</i>	<i>10</i>	<i>10</i>	<i>10</i>
1	მოდული 1: ბიზნესის ორგანიზაცია	35							5	10	10	10
2	მოდული 2: მენეჯმენტი	35							5	10	10	10
3	მოდული 3: მარკეტინგი	35							5	10	10	10
4	მოდული 4: ფინანსები და საბანკო საქმე	35							5	10	10	10
5	მოდული 5: ბუღალტრული აღრიცხვა	35							5	10	10	10
6	მოდული 6: ტურიზმი	35							5	10	10	10
7	მოდული 7: ინფორმაციული მენეჯმენტი	35							5	10	10	10
<i>მეორე სპეციალობის საგნები (Minor)</i>		<i>60</i>			<i>10</i>	<i>10</i>	<i>10</i>	<i>10</i>	<i>10</i>	<i>10</i>	<i>10</i>	<i>10</i>
1	მიკროეკონომიკა	10			5	5						
2	მაკროეკონომიკა	10			5	5						
3	საერთაშორისო ეკონომიკა	10					5	5				
4	შრომის ეკონომიკა	5						5				
5	ეკონომეტრიკა	5					5					
6	ეკონომიკური პოლიტიკა	10								5	5	
7	ეკონომიკური აზრის ისტორია	5								5		
8	საჯარო ფინანსები	5										5
სულ:		240	30	30	30	30	30	30	30	30	30	30

8. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება თსუ X კორპუსის აუდიტორიები, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების პაკეტით აღჭურვილი უახლესი კომპიუტერული კლასი სტუდენტებს მისცემს საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ელ-ფოსტა, რომლის მეშვეობით მათ ექნებათ მჭიდრო კავშირი ლექტორებსა და ტუტორებთან.